

სსბასს 4—უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით
გამოწვეული შედეგები

გამომცემლისაგან

წინამდებარე საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (სსბასს) 2 ძირითადად ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემულ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ (ბასს) 21-ს - *უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები* (2003 წელს გადაიხედა, 2005 წელს შევიდა ცვლილებები). ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (სსბასსს) ამ გამოცემაში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) ფონდის ნებართვით გამოყენებულია ამონარიდები ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ (ბასს) 21-დან.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს ბასსს-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი, რომლის ასლები შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს უშუალოდ ფასს-ის საგამომცემლო დეპარტამენტში შემდეგ მისამართზე: First Floor, 30 Cannon Street, London EC4M 6XH, United Kingdom.

ელ. ფოსტა: publications@ifrs.org

ვებ-გვერდი www.ifrs.org

ფასს-ები, ბასს-ები, განსახილველი პროექტები და ბასსს-ის სხვა გამოცემები დაცულია ფასს-ის ფონდის საავტორო უფლებით.

“IFRS,” “IAS,” “IASB,” “IFRS Foundation,” “International Accounting Standards,” და “International Financial Reporting Standards” ფასს-ების ფონდის სავაჭრო ნიშნებია და არ უნდა იქნეს გამოყენებული, ფასს-ების ფონდის თანხმობის გარეშე.

სსბასს 4—უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები

სსბასს-ს ისტორია

წინამდებარე ვერსია მოიცავს 2018 წლის 31 იანვრამდე გამოცემული სსბასს-ებით გამოწვეულ ცვლილებებს.

სსბასს 4, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები გამოიცა 2000 წლის მაისში.

2006 წლის დეკემბერში საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (სსბასსს) გამოსცა განახლებული სსბასს 4.

2008 წლის აპრილში საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა განახლებული სსბასს 4.

მას შემდგომ სსბასს 4 განახლებული იქნა შემდეგი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით:

- *სსბასს-ების გამოყენება (2016 წლის აპრილის გამოცემა)*
- *სსბასს 37, ერთობლივი შეთანხმებები (2015 წლის იანვრის გამოცემა)*
- *სსბასს 33, დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასსს-ების) პირველად გამოყენება, (2015 წლის იანვრის გამოცემა)*
- *2011 წლის სსბასს-ების გაუმჯობესება (2011 წლის ოქტომბრის გამოცემა)*
- *ბასს 29, ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება (2010 წლის იანვრის გამოცემა)*

სსბასს 4-ში შეცვლილი პუნქტების ცხრილი

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
შესავალი ნაწილი	ამოღებულია	სსბასს-ის შესწორება 2011 წლის ოქტომბერი

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
3	შეცვლილია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი სსბასს 29, 2010 წლის იანვარი
4	შეცვლილია	სსბასს 29, 2010 წლის იანვარი
5	შეცვლილია	სსბასს 29, 2010 წლის იანვარი
6	ამოღებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
7	ამოღებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
10	შეცვლილია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი
13	შეცვლილია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი
21	შეცვლილია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი
22	შეცვლილია	სსბასს 35, 2015 წლის იანვარი
31	შეცვლილია	სსბასს 29, 2010 წლის იანვარი
38	შეცვლილია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი
47	შეცვლილია	სსბასს 35, 2015 წლის იანვარი
50	შეცვლილია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი
51	შეცვლილია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი სსბასს 35, 2015 წლის იანვარი

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
53	შეცვლილია	სსბასს 35, 2015 წლის იანვარი
55	შეცვლილია	სსბასს 35, 2015 წლის იანვარი სსბასს 37, 2015 წლის იანვარი
57	შეცვლილია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი
57ა	დამატებულია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი
57ბ	დამატებულია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი
57გ	დამატებულია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი
57დ	დამატებულია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი
58	შეცვლილია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი
61	შეცვლილია	სსბასს 29, 2010 წლის იანვარი
67	ამოღებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
68	ამოღებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
69	ამოღებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
70	ამოღებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
71ა	დამატებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
71ბ	დამატებულია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი სსბასს 35, 2015 წლის იანვარი

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
71გ	დამატებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
72	შეცვლილია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი

სსბასს 4—უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები

შინაარსი

	პუნქტი
მიზანი	1–2
მოქმედების სფერო	3–9
განმარტებები	10–19
სამუშაო ვალუტა	11–16
ფულადი მუხლები	17
წმინდა ინვესტიციები უცხოურ ერთეულში	18–19
წინამდებარე სტანდარტით მოთხოვნილი მიდგომის რეზიუმე,	20–22
უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების სამუშაო ვალუტაში ანგარიშგება.....	23–42
თავდაპირველი აღიარება	23–26
ანგარიშგება შემდგომი საანგარიშგებო თარიღებისათვის.....	27–30
საკურსო სხვაობების აღიარება	31–39
სამუშაო ვალუტის შეცვლა	40–42
საანგარიშგებო ვალუტად საანგარიშგებო ვალუტის გარდა სხვა ვალუტის გამოყენება	43–58
საანგარიშგებო ვალუტაში გადაანგარიშება.....	43–49
უცხოური ერთეულის მონაცემების გადაანგარიშება	50–56
უცხოური ერთეულის გასვლა	57–58
საკურსო სხვაობების საგადასახადო შედეგები	59
განმარტებითი შენიშვნები	60–66
გარდამავალი დებულებები	67–70
დარიცხვის მეთოდის პირველადი დანერგვა.....	67–68
გარდამავალი დებულებები ყველა ერთეულისათვის.....	69–70
ძალაში შესვლის თარიღი	71–72

დასკვნის საფუძველი
შეთანხმების ცხრილი
ბასს 21-თან შედარება

საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 4, *უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები*, 1-73 პუნქტებშია წარმოდგენილი. ყველა პუნქტს თანაბარი ძალა აქვს. სსბასს 4 გააზრებული უნდა იქნას ამ სტანდარტისთვის განსაზღვრული მიზნების, დასკვნის საფუძვლის, *საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების წინასიტყვაობისა და საჯარო სექტორის ერთეულებისთვის ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების* კონტექსტში. ზუსტი მითითებების არარსებობის შემთხვევაში, სსბასს 3, *სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები*, წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის შერჩევისა და გამოყენების საფუძველს.

მიზანი

1. ერთეული სავალუტო ოპერაციებს შესაძლოა ორი გზით ახორციელებდეს. მან შეიძლება ოპერაციები განახორციელოს უცხოურ ვალუტაში ან შეიძლება ჰქონდეს უცხოური ერთეული. ამასთან ერთეული ფინანსურ ანგარიშგებას შესაძლოა უცხოურ ვალუტაში წარადგენდეს. წინამდებარე სტანდარტის მიზანია განსაზღვროს თუ როგორ შეიტანოს უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და უცხოური ერთეულები ერთეულის ფინანსურ ანგარიშგებაში და როგორ გადაიანგარიშოს ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო ვალუტაში.
2. ასეთ შემთხვევაში ძირითადი საკითხებია: (ა) რომელი გაცვლითი კურს(ებ)ი იქნეს გამოყენებული და (ბ) როგორ აისახოს გაცვლითი კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები ფინანსურ ანგარიშგებაში.

მოქმედების სფერო

3. ერთეული, რომელიც ამზადებს და წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას დარიცხვის მეთოდით, ვალდებულია გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტი:
 - (ა) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებისა და არსებული ნაშთების ბუღალტრული აღრიცხვისათვის, გარდა იმ ოპერაციებისა და ნაშთებისა, რომელიც დაკავშირებულია წარმოებულ ინსტრუმენტებთან და შედის სსბასს 29, *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასების*, მოქმედების სფეროში;
 - (ბ) უცხოური ერთეულის ფინანსური შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის გადასაანგარიშებლად, რომელიც კონსოლიდირების, პროპორციული კონსოლიდირების ან კაპიტალ-მეთოდის გამოყენების შედეგად შედის ერთეულის ფინანსურ ანგარიშგებაში; და
 - (გ) ერთეულის ფინანსური შედეგებისა და მისი ფინანსური მდგომარეობის საანგარიშგებო ვალუტაში გადაანგარიშებისას.
4. სსბასს 29 გამოიყენება უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მრავალ წარმოებულ ინსტრუმენტთან და, რომლებიც შესაბამისად, არ შედის წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროში. თუმცა, წარმოებულ ინსტრუმენტები უცხოურ ვალუტაში, რომლებზეც არ ვრცელდება სსბასს 29 მოქმედება (მაგ., ზოგიერთი წარმოებულ ინსტრუმენტი უცხოურ ვალუტაში, რომლებიც შეტანილია სხვა კონტრაქტებში) წინამდებარე

სტანდარტის მოქმედების სფეროში შედიან. გარდა ამისა, წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ერთეულს წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული თანხა გადაჰყავს თავისი სამუშაო ვალუტიდან საანგარიშგებო ვალუტაში.

5. მოცემული სტანდარტი არ გამოიყენება ანგარიშგების ჰეჯირებისათვის უცხოური ვალუტის მუხლებთან მიმართებაში, მათ შორის, წმინდა ინვესტიციის ჰეჯირებისათვის უცხოურ ერთეულში. სსბასს 29 გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების ჰეჯირებისათვის.
6. [ამოღებულია]
7. [ამოღებულია]
8. წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება ერთეულის მიერ ფინანსური ანგარიშგების უცხოურ ვალუტაში წარსადგენად და ადგენს მოთხოვნებს, რომელთა შესრულების შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მიღებული ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება სსბასს-ების მოთხოვნებს. უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებული ფინანსური ინფორმაციიდან, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მოცემული სტანდარტი განსაზღვრავს იმ ინფორმაციას, რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებში.
9. წინამდებარე სტანდარტი არ გამოიყენება უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში წარდგენისას, ასევე, უცხოურ ერთეულში ფულადი სახსრების ნაკადების გადაანგარიშებისას (იხ., ბასს 2, *ფულადი ნაკადების ანგარიშგება*).

განმარტებები

10. წინამდებარე სტანდარტში მოცემული ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით:

საბოლოო სავალუტო კურსი არის ანგარიშგების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსი.

საკურსო სხვაობა არის სხვაობა, რომელიც მიიღება ერთი ვალუტის მოცემული რაოდენობის ერთეულების გადაანგარიშებისას სხვა ვალუტაში, სხვადასხვა გაცვლითი კურსის გამოყენებით.

სავალუტო კურსი არის ორი ვალუტის ერთიმეორეზე გაცვლის კოეფიციენტი.

უცხოური ვალუტა არის ნებისმიერი ვალუტა, რომელიც განსხვავდება ერთეულის სამუშაო ვალუტისგან.

უცხოური ერთეული არის ერთეული, რომელიც შეიძლება იყოს კონტროლირებული ერთეული, მეკავშირე ერთეული, ერთობლივი შეთანხმება, ან ანგარიშვალდებული ერთეულის ფილიალი, რომლის საქმიანობაც დაფუძნებულია ან ხორციელდება ანგარიშვალდებული ერთეულის ქვეყნიდან ან ვალუტიდან განსხვავებულ ქვეყანაში ან ვალუტაში.

სამუშაო ვალუტა არის ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ერთეული ეწევა საქმიანობას.

ფულადი მუხლები წარმოადგენს არსებული ვალუტის ერთეულებს, ასევე მისაღებ ან გადასახდელ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც გამოხატულია ვალუტის ერთეულის ფიქსირებული ან განსაზღვრადი რაოდენობით.

წმინდა ინვესტიციები უცხოურ ერთეულში არის ანგარიშვალდებული ერთეულის წილობრივი მონაწილეობა ამ უცხოური ერთეულის წმინდა აქტივებში/კაპიტალში.

საანგარიშგებო ვალუტა წარმოადგენს ვალუტას, რომელშიც ხდება ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.

მიმდინარე გაცვლითი კურსი არის ვალუტის გაცვლითი კურსი დაუყოვნებელი მიწოდებისას.

სხვა სსბასს-ებში განსაზღვრული ტერმინები წინამდებარე სტანდარტში იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც მოცემულია სხვა სტანდარტებში და ცალკე გამოქვეყნებულ ტერმინთა განმარტებების გლოსარში.

სამუშაო ვალუტა

11. ძირითადი ეკონომიკური გარემო, რომელშიც ერთეული ფუნქციონირებს, ჩვეულებრივ, არის ის გარემო, რომელშიც ერთეული ძირითადად წარმოქმნის და ხარჯავს ფულად სახსრებს. ერთეული თავისი სამუშაო ვალუტის განსაზღვრისას ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

(ა) ვალუტა:

- (i) რომლიდანაც მიიღება შემოსავალი გადასახადების, გრანტებისა და ჯარიმებისგან;
- (ii) რომელიც ძირითადად ზემოქმედებას ახდენს საქონლისა და მომსახურების სარეალიზაციო ფასზე (ეს ხშირად არის ის ვალუტა, რომელშიც დგინდება და იხდება საქონლისა და მომსახურების სარეალიზაციო ფასი); და
- (iii) იმ ქვეყნისა, რომლის კონკურენტუნარიანობა და რეგულაციები ძირითადად განსაზღვრავენ მისი საქონლისა და მომსახურების სარეალიზაციო ფასებს.

(ბ) ვალუტა, რომელიც ძირითადად გავლენას ახდენს მუშა ხელზე, მასალებზე და საქონლისა და მომსახურების უზრუნველყოფისათვის საჭირო სხვა დანახარჯებზე (ეს ხშირად არის ის ვალუტა, რომელშიც გამოიხატება და გადაიხდება ასეთი დანახარჯები).

12. შემდეგი ფაქტორები ასევე შეიძლება გახდეს ერთეულის სამუშაო ვალუტის განსაზღვრის საფუძველი:

- (ა) ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი სახსრების ვალუტა (მაგ., სასესხო და წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვება).
- (ბ) საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსულობების ასახვის ვალუტა.

13. უცხოური ერთეულის სამუშაო ვალუტის დადგენისათვის, ასევე იმის დასადგენად, არის თუ არა ანგარიშვალდებული ერთეულის და უცხოური ერთეულის სამუშაო ვალუტა ერთი და იგივე, მხედველობაში მიიღება შემდეგი დამატებითი ფაქტორები (ანგარიშვალდებული ერთეული, ამ კონტექსტში, არის ის ერთეული, რომელსაც აქვს უცხოური ერთეული, როგორც მის მიერ კონტროლირებული ერთეული, ფილიალი, მკავშირე ერთეული თუ ერთობლივი შეთანხმება):

- (ა) წარმოადგენს თუ არა უცხოური ერთეულის საქმიანობა ანგარიშვალდებული ერთეულის გაფართოებულ ოპერაციებს, თუ ის ხორციელდება დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი ხარისხით. მაგალითად როდესაც თავდაცვის სამინისტროს აქვს გარკვეული რაოდენობის სამხედრო ბაზები საზღვარგარეთ, რომლებიც ფუნქციონირებენ ქვეყნის მთავრობის სახელით. ეს სამხედრო ბაზები შესაძლოა საქმიანობას უმთავრესად აწარმოებდნენ ანგარიშვალდებული ერთეულის სამუშაო ვალუტაში. მაგალითად, სამხედროებს შესაძლოა უხდიდნენ სამუშაო ვალუტაში, ხოლო ადგილობრივ

ვალუტაში შესაძლებელია აძლევდნენ თანხის მცირე ნაწილს, დანამატების სახით. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა შეიძლება ძირითადად ხორციელდებოდეს ანგარიშვალდებული ერთეულის მეშვეობით, რომლის დროსაც შესყიდვები ადგილობრივ ვალუტაში მინიმუმამდეა დაყვანილი. მეორე მაგალითად შეიძლება გამოდგეს სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხოური კამპუსი, რომელიც ფუნქციონირებს ეროვნული კამპუსის ხელმძღვანელობის ქვეშ. ამის საპირისპიროდ, უცხოურ ერთეულს, რომელსაც აქვს დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი ხარისხი, შეუძლია მოახდინოს ფულადი სახსრებისა და სხვა ფულადი აქტივების აკუმულირება, გაიღოს ხარჯები, მიიღოს შემოსავალი და მოიზიდოს სესხებიც კი, ძირითადად ადგილობრივ ვალუტაში. მთავრობის საკუთრებაში არსებული უცხოური ერთეულების ასეთ მაგალითებად, რომლებსაც შეუძლიათ იფუნქციონირონ სხვა სახელმწიფო უწყებებისგან დამოუკიდებლად, მოყვანილი შეიძლება იყოს ტურისტული ოფისები, ნავთობის საძიებო კომპანიები, სავაჭრო კომიტეტები და ტელე-რადიო მაუწყებლობასთან დაკავშირებული საქმიანობა. ასეთი ერთეული შეიძლება დაარსდეს, როგორც კომერციული საჯარო სექტორის ერთეულები.

- (ბ) როგორი პროპორციის (მაღალი თუ დაბალი) არის უცხოური ერთეულის საქმიანობა ანგარიშვალდებულ ერთეულთან
- (გ) პირდაპირ ზემოქმედებს თუ არა უცხოური ერთეულის საქმიანობის ფულადი ნაკადი ანგარიშვალდებული ერთეულის ფულადი სახსრების ნაკადებზე და ადვილია თუ არა ფულის გადაგზავნა ანგარიშვალდებული ერთეულისათვის.
- (დ) არის თუ არა უცხოური ერთეულის საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები საკმარისი არსებული და ჩვეულებრივ მოსალოდნელი სავალო ვალდებულებების მომსახურებისათვის, ანგარიშვალდებული ერთეულის მიერ უზრუნველყოფილი ფულადი სახსრების გარეშე.

14. როდესაც ზემოხსენებული ინდიკატორები შერეულია და სამუშაო ვალუტა არ არის ნათლად გამოხატული, ხელმძღვანელობა იყენებს მის შეფასებას იმ სამუშაო ვალუტის განსაზღვრისათვის, რომელიც ყველაზე ზუსტად წარმოაჩენს საბაზისო ოპერაციების, მოვლენებისა და პრობების ეკონომიკურ შედეგებს. როგორც ამ მიდგომის ნაწილი, ხელმძღვანელობა უპირატესობას ანიჭებს 11-ე პუნქტში

მოცემულ პირველად ინდიკატორებს მანამ, სანამ განიხილავს 12-ე და 13-ე პუნქტებში მოცემულ ინდიკატორებს, რომელთა მიზანია უზრუნველყოს დამატებითი დამხმარე მტკიცებულება ერთეულის სამუშაო ვალუტის დადგენისათვის.

15. ერთეულის სამუშაო ვალუტა ასახავს საბაზისო ოპერაციებს, მოვლენებს და პირობებს, რომლებიც მას შეესაბამებიან. შესაბამისად, დგინდება რა სამუშაო ვალუტა, ის აღარ იცვლება, თუ არ მოხდა ცვლილება ზემოხსენებულ საბაზისო ოპერაციებში, მოვლენებსა და პირობებში.
16. იმ შემთხვევაში თუ სამუშაო ვალუტა წარმოადგენს ჰიპერინფლაციური ეკონომიკის ვალუტას, ერთეულის ფინანსური ანგარიშგებები გადაანგარიშდება ბასს 10-ის - ფინანსური ანგარიშგება ჰიპერინფლაციური ეკონომიკის პირობებში - მიხედვით. ერთეული თავს ვერ აარიდებს ბასს 10-ის მიხედვით გადაანგარიშებას, მაგალითად, სამუშაო ვალუტად იმ ვალუტის აღიარებით, რომელიც განსხვავდება სამუშაო ვალუტისგან, განსაზღვრულს სტანდარტის მონაცემების შესაბამისად (მაგ., როგორცაა მისი მაკონტროლებელი ერთეულის სამუშაო ვალუტა).

ფულადი მუხლები

17. ფულადი მუხლის არსებითი მახასიათებელი არის უფლება მიიღო (ან ვალდებულება, რომ შეასრულო) ვალუტის ერთეულის ფიქსირებული ან განსაზღვრული ოდენობა. მაგალითები მოიცავს: ნაღდი ფულით გადასახდელ სოციალური უზრუნველყოფის ვალდებულებებს და მომსახურე პერსონალის სხვა ტიპის გასამრჯელოს, ანარიცხებს, რომელიც უნდა დაიფაროს ნაღდი ფულით; და ნაღდი ფულით გადასახდელ დივიდენდებს ან მსგავს გადახდებს, რომლებიც აღიარებულია, როგორც ვალდებულება. და პირიქით, არაფულადი მუხლის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს უფლების არქონა მიიღო (ან ვალდებულება შეასრულო) ვალუტის ერთეულის ფიქსირებული ან განსაზღვრული ოდენობა. მაგალითები მოიცავს: საქონლისა და მომსახურებისათვის წინასწარ გადახდილ თანხას (მაგ., წინასწარ გადახდილი იჯარა); გუდვილი; არამატერიალური აქტივები; მატერიალური მარაგები; ძირითადი აქტივები და ანარიცხები, რომლებიც უნდა გადახდილ იქნეს არაფულადი აქტივით.

წმინდა ინვესტიციები უცხოურ ერთეულში

18. ერთეულს უცხოურ ერთეულთან მიმართებაში ფულადი მუხლის სახით შეიძლება ჰქონდეს როგორც დებიტორული, ასევე კრედიტორული დავალიანება. ფულადი მუხლი,

რომლის დაფარვაც არ არის დაგეგმილი და სავარაუდოდ არც ექნება ადგილი ახლო მომავალში, არსებითად, წარმოადგენს ერთეულის წმინდა ინვესტიციის ნაწილს უცხოურ ერთეულში და აღირიცხება 37-ე და 38-ე პუნქტებში შესაბამისად. ასეთი ფულადი მუხლები შეიძლება მოიცავდეს გრძელვადიან დებიტორულ დავალიანებებს ან სესხებს. ისინი არ მოიცავენ სავაჭრო დებიტორულ ან კრედიტორულ დავალიანებებს.

19. 18-ე პუნქტში აღწერილი ერთეული, რომელსაც უცხოურ ერთეულთან მიმართებაში ფულადი მუხლის სახით აქვს დებიტორული ან კრედიტორული დავალიანება, შეიძლება იყოს ეკონომიკურ ერთეულში შემავალი ნებისმიერი კონტროლირებული ერთეული. მაგალითად, ეკონომიკურ ერთეულში შემავალი A და B კონტროლირებული ერთეულებიდან, თუ B არის უცხოური ერთეული, რომელზეც A გასცემს სესხს, მაშინ კონტროლირებული ერთეული A-ს სასესხო მოთხოვნა კონტროლირებული ერთეული B-ს მიმართ აისახება როგორც კონტროლირებული ერთეული A-ს წმინდა ინვესტიციის ნაწილი კონტროლირებულ ერთეულ B-ში, თუ სესხის დაფარვა არ არის დაგეგმილი და სავარაუდოდ არც ექნება ადგილი ახლო მომავალში. ეს ასევე სწორი იქნებოდა იმ შემთხვევისათვის, კონტროლირებული ერთეული A თვითონ რომ წარმოადგენდეს უცხოურ ერთეულს.

წინამდებარე სტანდარტით მოთხოვნილი მიდგომის რეზიუმე

20. ნებისმიერი ერთეული - იქნება ეს ავტონომიური (დამოუკიდებელი) ერთეული, ერთეული უცხოური ერთეულით (მაგალითად, მაკონტროლებელი ერთეული), ან უცხოური ერთეული (მაგალითად, კონტროლირებული ერთეული ან ფილიალი) - ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას თავის სამუშაო ვალუტას განსაზღვრავს 11-16 პუნქტების თანახმად. ერთეული უცხოური ვალუტის მუხლებს გადაიანგარიშებს სამუშაო ვალუტაში და ასეთი გადაანგარიშების შედეგებს ასახავს 23-42-ე და 59-ე პუნქტების შესაბამისად.
21. ბევრი ანგარიშვალდებული ერთეული თავის თავში აერთიანებს რიგ ცალკეულ ერთეულებს (მაგ. ეკონომიკური ერთეული შედგება მაკონტროლებელი ერთეულისა და ერთი ან რამდენიმე კონტროლირებული ერთეულისგან). სხვადასხვა სახის ერთეულებს, მიუხედავად იმისა შედიან თუ არა ისინი ეკონომიკური ერთეულის შემადგენლობაში, შეიძლება ჰქონდეთ ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებში ან ერთობლივ შეთანხმებებში. გარდა ამისა მათ შეიძლება ჰქონდეთ ფილიალები. ანგარიშვალდებულ ერთეულში შემავალი თითოეული ერთეულის ფინანსური შედეგები და

ფინანსური მდგომარეობა აუცილებლად გადაყვანილ უნდა იქნას იმ ვალუტაში, რომელშიც ანგარიშვალდებული ერთეული წარადგენს თავის ფინანსურ ანგარიშგებას. წინამდებარე სტანდარტი საშუალებას იძლევა ანგარიშვალდებული ერთეულის საანგარიშგებო ვალუტად აღებულ იქნას ნებისმიერი ვალუტა (ვალუტები). ანგარიშვალდებულ ერთეულში შემავალი ნებისმიერი ცალკეული ერთეულის ფინანსური შედეგები და ფინანსური მდგომარეობა, რომლის სამუშაო ვალუტა განსხვავდება საანგარიშგებო ვალუტისგან, გადაანგარიშებული უნდა იქნას 43-59-ე პუნქტების შესაბამისად.

22. წინამდებარე სტანდარტი ასევე საშუალებას აძლევს დამოუკიდებელ ერთეულებს, რომლებიც ადგენენ ფინანსურ ანგარიშგებას, ან ერთეულებს, რომლებიც ადგენენ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას სსბასს 34-ის - *ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება* - თანახმად, წარადგინონ თავისი ფინანსური ანგარიშგება ნებისმიერ ვალუტაში (ან ვალუტებში). იმ შემთხვევაში, თუ ერთეულის საანგარიშგებო ვალუტა განსხვავდება სამუშაო ვალუტისგან, მისი ფინანსური შედეგები და ფინანსური მდგომარეობა ასევე გადაყვანილი უნდა იქნას საანგარიშგებო ვალუტაში 43-59 პუნქტების შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების ანგარიშგება სამუშაო ვალუტაში

თავდაპირველი აღიარება

23. ოპერაცია უცხოურ ვალუტაში წარმოადგენს ოპერაციას, რომელიც აისახება უცხოურ ვალუტაში ან მოითხოვს დაფარვას უცხოურ ვალუტაში, მათ შორის ისეთი ოპერაციები, რომლებსაც ადგილი აქვთ როდესაც ერთეული:
- (ა) ყიდულობს ან ყიდის საქონელს ან მომსახურებას, რომლის ფასიც გამოსახულია უცხოურ ვალუტაში;
 - (ბ) სესხულობს ან გაასესხებს სახსრებს, როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების თანხები გამოსახულია უცხოურ ვალუტაში;
 - (გ) სხვაგვარად იძენს ან ყიდის აქტივებს, იღებს ან ფარავს ვალდებულებას, რომელიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში.
24. თავდაპირველი აღიარებისას უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაცია უნდა ჩაიწეროს სამუშაო ვალუტაში, სამუშაო ვალუტასა და უცხოურ ვალუტას შორის

ოპერაციის განხორციელების თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით.

25. ოპერაციის თარიღი წარმოადგენს თარიღს, როდესაც პირველად არის შესრულებული ოპერაციის აღიარების კრიტერიუმები სსბასს-ების თანახმად. პრაქტიკული თვალსაზრისით ხშირად გამოიყენება ოპერაციის თარიღისათვის არსებულ ფაქტიურ კურსთან მიახლოებული კურსი, მაგალითად, კვირის ან თვის საშუალო კურსი შეიძლება გამოყენებულ იქნას თითოეულ უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ყველა ოპერაციისათვის, რომელთაც ადგილი ჰქონდა მოცემული პერიოდის განმავლობაში. თუმცა, თუ გაცვლითი კურსი მნიშვნელოვნად მერყეობს, ასეთი პერიოდისათვის საშუალო კურსის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.
26. გაცვლითი კურსის ცვლილებამ შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს უცხოურ ვალუტაში არსებულ ან გადასახდელ ფულად სახსრებზე, ან მათ ეკვივალენტებზე. საკურსო სხვაობების წარდგენის წესი განსაზღვრულია სსბასს 2-ით. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცვლილებები არ წარმოადგენს ფულადი სახსრების ნაკადებს, გაცვლითი კურსის ცვლილების ზემოქმედება უცხოურ ვალუტაში არსებულ ან გადასახდელ ფულად სახსრებზე ან მათ ეკვივალენტებზე მაინც აისახება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში, რათა მიღწეულ იქნას შესაბამისობა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისსა და ბოლოსათვის არსებულ ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს შორის. ეს სახსრები წარმოდგენილია ცალკე, ფულადი სახსრების ნაკადებთან დაკავშირებული საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობისგან დამოუკიდებლად და შეიცავენ საკურსო სხვაობებს, თუკი ასეთს აქვს ადგილი, და თუ ეს ფულადი სახსრების ნაკადები ანგარიშგებაში წარმოდგენილია ანგარიშგების პერიოდის დასასრულისათვის არსებული კურსის მიხედვით.

ანგარიშგება შემდგომი საანგარიშგებო თარიღებისათვის

27. თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის:
- (ა) ფულადი მუხლები უცხოური ვალუტაში გადაანგარიშდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სავალუტო კურსის გამოყენებით;
 - (ბ) არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია ისტორიული ღირებულების მიხედვით უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით;

(გ) არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით,

28. მუხლის საბალანსო ღირებულება განისაზღვრება სხვა შესაბამისი სსბასს-ებთან მიმართებაში. მაგალითად, სსბასს 17-ის, ძირითადი აქტივები, თანახმად ძირითადი აქტივები შეძლება შეფასდეს სამართლიანი ან ისტორიული ღირებულებით. იმისდა მიუხედავად, თუ რის საფუძველზე დგინდება საბალანსო ღირებულება - ისტორიული თუ სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, - თუ თანხა განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში, შემდგომში ის გადაანგარიშებული უნდა იყოს სამუშაო ვალუტაში წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად.

29. ზოგიერთი მუხლის საბალანსო ღირებულება განისაზღვრება ორი ან მეტი თანხის შედარების შედეგად. მაგალითად, სსბასს 12 - ის, მატერიალური მარაგები, შესაბამისად გასაყიდი მატერიალური მარაგების საბალანსო ღირებულება არის უმცირესი ორი სიდიდიდან: თვითღირებულება ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულება. ასევე, სსბასს 21-ის, ფულადი სახსრების არჩარმოქმნილი აქტივების გაუფასურება, თანახმად, აქტივის საბალანსო ღირებულება, რომლისთვისაც სახეზეა გაუფასურების ნიშნები უნდა უტოლდებოდეს ყველაზე მცირეს თანხებიდან: გაუფასურების შედეგად მის საბალანსო ღირებულებას შესაძლო ზარალის აღრიცხვამდე ან მის მომსახურების აღდგენით ღირებულებას. თუ ასეთი აქტივი არაფულადია და შეფასებულია უცხოურ ვალუტაში, მისი საბალანსო ღირებულება განისაზღვრება:

(ა) თვითღირებულების ან საბალანსო ღირებულების (როგორც ამას კონკრეტული შემთხვევა მოითხოვს) შედარების გზით, რომელიც გადაანგარიშებულია გაცვლითი კურსის შესაბამისად მოცემული ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის (ანუ, მუხლისათვის, რომელიც ფასდება ისტორიული ღირებულების შესაბამისად, ეს იქნება კურსი ოპერაციის თარიღისათვის);

(ბ) წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ან მომსახურების აღდგენითი ღირებულების შედარების გზით (როგორც ამას კონკრეტული შემთხვევა მოითხოვს), რომელიც გადაანგარიშებულია გაცვლითი კურსის შესაბამისად ამ ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის (ე.ი., საბოლოო სავალუტო კურსით საანგარიშგებო დღეს).

ასეთი შედეგების შედეგად შეიძლება წარმოიქმნას სიტუაცია, როდესაც გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი აღიარდება სამუშაო ვალუტაში, მაგრამ არ აღიარდება უცხოურ ვალუტაში, ან პირიქით.

30. რამდენიმე გაცვლითი კურსის არსებობის შემთხვევაში, მათგან ის გამოიყენება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მოცემული ოპერაციით ან ნაშთით წარმოდგენილი მომავალი ფულადი სახსრების ნაკადების დაფარვა, თუ ამ ფულადი სახსრების ნაკადებს ადგილი ექნებოდათ შეფასების თარიღისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ორ ვალუტას შორის დროებით არ არსებობს გაცვლის შესაძლებლობა, გაცვლით კურსად გამოიყენება პირველი შემდგომი კურსი, რომლითაც შესაძლებელია განხორციელდეს გაცვლა.

საკურსო სხვაობების აღიარება

31. როგორც პუნქტ 5-ში იყო აღნიშნული, ეს სტანდარტი არ ეხება უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლების ჰეჯირების მეთოდით აღრიცხვას. ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებული მითითებები, იმ კრიტერიუმების ჩათვლით, თუ როდის უნდა იქნას გამოყენებული ჰეჯირების აღრიცხვა, მოცემულია სსბასს 29-ში.
32. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნება (ა) ფულადი მუხლების დაფარვისას, ან (ბ) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ან ფინანსურ ანგარიშგებაში ფულადი მუხლების თავდაპირველი აღიარებისას გამოყენებული კურსისაგან განსხვავებული კურსით გადაანგარიშებისას, აღიარებულ უნდა იქნეს როგორც ნამეტი ან დეფიციტი იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიქმნებიან, გარდა პუნქტ 37-ში აღწერილი შემთხვევებისა.
33. როდესაც უცხოური ვალუტის ოპერაციის შედეგად წარმოიქმნება ფულადი მუხლები და ოპერაციის თარიღსა და ანგარიშსწორების თარიღს შორის სავალუტო კურსი იცვლება, შედეგად ვიღებთ საკურსო სხვაობას. როდესაც ოპერაციის ანგარიშსწორება ხდება იმავე სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც განხორციელდა ოპერაცია, მთელი საკურსო სხვაობა აღიარდება ამ პერიოდში. თუმცა, როდესაც ოპერაციის ანგარიშსწორება ხდება მომდევნო სააღრიცხვო პერიოდში, თითოეულ პერიოდში აღიარებული საკურსო სხვაობა ანგარიშსწორების თარიღამდე განისაზღვრება თითოეული პერიოდის განმავლობაში გაცვლითი კურსის ცვლილების შესაბამისად.

34. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებების აღრიცხვის წესი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში აღწერილია პუნქტ 26-ში.
35. როდესაც არაფულადი მუხლიდან მიღებული მოგება ან ზარალი პირდაპირ აღიარდება წმინდა აქტივებში/კაპიტალში, მაშინ ასეთი მოგების ან ზარალის საკურსო სხვაობის ნებისმიერი კომპონენტი პირდაპირ უნდა აღიარდეს წმინდა აქტივებში/კაპიტალში. პირიქით, თუ არაფულადი მუხლიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება ნამეტის ან დეფიციტის შემადგენლობაში, მაშინ ასეთი მოგების ან ზარალის საკურსო სხვაობის ნებისმიერი კომპონენტი აგრეთვე აღიარდება ნამეტის ან დეფიციტის შემადგენლობაში.
36. სხვა სსბასს-ები მოითხოვენ, რომ მოგებისა და ზარალის ზოგიერთი სახეები აღიარდებოდეს პირდაპირ წმინდა აქტივების ღირებულებაში/კაპიტალში. მაგალითად, სსბასს 17 მოითხოვს, რომ ზოგიერთი ძირითადი აქტივის გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი პირდაპირ აღიარდეს წმინდა აქტივებში/კაპიტალში. როდესაც ასეთი აქტივი შეფასებულია უცხოურ ვალუტაში, მოცემული სტანდარტის პუნქტი 27 (გ) მოითხოვს, რომ გადაფასებული თანხა გადაანგარიშებული იქნას ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით, რასაც მიყვაროთ საკურსო სხვაობამდე, რომელიც აგრეთვე აღიარდება წმინდა აქტივებში/კაპიტალში.
37. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნება ფულად მუხლთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს უცხოურ ერთეულში ანგარიშვალდებული ერთეულის წმინდა ინვესტიციების ნაწილს (იხ. პუნქტი 18), ექვემდებარება აღიარებას ნამეტის ან დეფიციტის შემადგენლობაში ანგარიშვალდებული ერთეულის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ან უცხოური ერთეულის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში (როგორც ამას კონკრეტული შემთხვევა მოითხოვს). ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც მოიცავს უცხოურ ერთეულს და ანგარიშვალდებულ ერთეულს (მაგალითად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, თუკი უცხოური ერთეული არის კონტროლირებული ერთეული), ასეთი საკურსო სხვაობები თავდაპირველად აღიარდება, როგორც წმინდა აქტივების/კაპიტალის ცალკე კომპონენტი, ხოლო ნამეტისა თუ დეფიციტის შემადგენლობაში ისინი აღიარდება წმინდა ინვესტიციის გასვლის შემდეგ, პუნქტ 57-თან შესაბამისობაში.
38. თუ ფულადი მუხლი წარმოადგენს ანგარიშვალდებული ერთეულის წმინდა ინვესტიციების კომპონენტს უცხოურ

ერთეულში და დენომინირებულია ანგარიშვალდებული ერთეულის სამუშაო ვალუტაში, უცხოური ერთეულის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოიქმნება საკურსო სხვაობა პუნქტ 32-ის შესაბამისად. თუ ასეთი მუხლი დენომინირებულია უცხოური ერთეულის სამუშაო ვალუტაში, საკურსო სხვაობა წარმოიქმნება ანგარიშვალდებული ერთეულის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში პუნქტ 32-ის შესაბამისად. თუკი ასეთი მუხლი დენომინირებულია ვალუტაში, რომელიც განსხვავდება როგორც ანგარიშვალდებული ერთეულის, ისე უცხოური ერთეულის სამუშაო ვალუტისაგან, საკურსო სხვაობა პუნქტ 32-ის შესაბამისად წარმოიქმნება როგორც ანგარიშვალდებული ერთეულის, ასევე უცხოური ერთეულის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაშიც. ასეთი საკურსო სხვაობები ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც მოიცავს უცხოურ ერთეულს და ანგარიშვალდებულ ერთეულს (მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელშიც უცხოური ერთეული არის კონსოლიდირებული ან ასახული კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით) ხელახლა კლასიფიცირდება წმინდა აქტივების/კაპიტალის ცალკე კომპონენტში.

39. როდესაც ერთეული ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს სამუშაო ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში, ფინანსური ანგარიშგების მომზადების მომენტისათვის ყველა თანხები გადაიანგარიშება სამუშაო ვალუტაში 23-30-ე პუნქტების შესაბამისად. ეს საშუალებას იძლევა იგივე თანხები მიღებულ იქნას სამუშაო ვალუტაში, რომელშიც იქნებოდა ასახული მოცემული მუხლები თავდაპირველად სამუშაო ვალუტაში რომ ყოფილიყო ასახული. მაგალითად, ფულადი მუხლები გადაიყვანება სამუშაო ვალუტაში დახურვის კურსის გამოყენებით, ხოლო არაფულადი მუხლები, რომლებიც ისტორიული ღირებულების საფუძველზეა შეფასებული, გადაიანგარიშება მათი აღიარების ოპერაციის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით.

სამუშაო ვალუტის ცვლილება

40. როდესაც ერთეულის სამუშაო ვალუტა იცვლება, ცვლილების თარიღიდან მოყოლებული პერსპექტიულად ერთეულს მართებს გადაანგარიშების პროცედურების გამოყენება ახალ სამუშაო ვალუტასთან მიმართებაში.
41. როგორც აღნიშნულია პუნქტ 15-ში, ერთეულის სამუშაო ვალუტა ასახავს ერთეულისათვის მნიშვნელოვანი ხასიათის მქონე საბაზო ოპერაციებს, მოვლენებსა და პირობებს. შესაბამისად, როდესაც სამუშაო ვალუტა დადგენილია, იგი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი ადგილი

აქვს საბაზო ოპერაციების, მოვლენებისა და პირობების ცვლილებებს. მაგალითად, ვალუტის ცვლილებამ, რომელიც ძირითადად ზეგავლენას ახდენს გაყიდვის ფასებზე ან საქონლისა და მომსახურების უზრუნველყოფაზე, შეიძლება მიგვიყვანოს ერთეულის სამუშაო ვალუტის ცვლილებამდე.

42. სამუშაო ვალუტის ცვლილების შედეგი მხედველობაში მიიღება პერსპექტიულად. სხვა სიტყვებით, ერთეული ყველა მუხლის გადაანგარიშებას ახდენს ახალ სამუშაო ვალუტაში ცვლილების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით. არაფულადი მუხლებისთვის გადაანგარიშების შედეგად მიღებული თანხის ოდენობა ითვლება მათ ისტორიულ ღირებულებად. უცხოური ერთეულის გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი საკურსო სხვაობები, რომლებიც ადრე კლასიფიცირებული იყო წმინდა აქტივებში/კაპიტალში 37-ე და 44 (გ) პუნქტების შესაბამისად, არ აღიარდება ნამეტში ან დეფიციტში უცხოური ერთეულის გასვლამდე.

საანგარიშგებო ვალუტად სამუშაო ვალუტის გარდა სხვა ვალუტის გამოყენება

საანგარიშგებო ვალუტაში გადაანგარიშება

43. ერთეულს შეუძლია წარადგინოს თავისი ფინანსური ანგარიშგება ნებისმიერ ვალუტაში (ან ვალუტებში). თუ საანგარიშგებო ვალუტა განსხვავდება ერთეულის სამუშაო ვალუტისაგან, მას გადაჰყავს თავისი ფინანსური შედეგები და ფინანსური მდგომარეობა საანგარიშგებო ვალუტაში. მაგალითად, თუკი ეკონომიკური ერთეულის შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა სამუშაო ვალუტის მქონე ერთეულები, თითოეული მათგანის ფინანსური შედეგები და ფინანსური მდგომარეობა გამოისახება ერთიან ვალუტაში, რათა შესაძლებელი იყოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. ცენტრალური ან საშტატო/ადგილობრივი მთავრობის საანგარიშგებო ვალუტა, როგორც წესი, განისაზღვრება ფინანსთა სამინისტროს (ან ანალოგიური ორგანოს) მიერ, ან დგინდება კანონმდებლობით.
44. იმ ერთეულის ფინანსური შედეგები და ფინანსური მდგომარეობა, რომლის სამუშაო ვალუტა არ წარმოადგენს ჰიპერინფლაციური ეკონომიკის ვალუტას, გადაყვანილ უნდა იქნას განსხვავებულ საანგარიშგებო ვალუტაში შემდეგი პროცედურების გამოყენებით:
- (ა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ თითოეულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივები და ვალდებულებები (შესადარისი მონაცემების ჩათვლით)

გადაიყვანება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისათვის არსებული საბოლოო გაცვლითი კურსით;

(ბ) შემოსავალი და ხარჯები (შესადარისი მონაცემების ჩათვლით) თითოეული ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში გადაიყვანება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით;

(გ) ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაში გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აღიარდება, როგორც წმინდა აქტივების/კაპიტალის ცალკე კომპონენტი.

45. ანგარიშვალდებულმა ერთეულმა ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ჩართვის მიზნით უცხოური ერთეულის ფულადი სახსრების ნაკადების გადაანგარიშებისას, რომელიც წარმოადგენს ფულადი სახსრების მიღებებსა და გადახდებს, უნდა დაიცვას სსბასს 2-ით განსაზღვრული პროცედურები. სსბასს 2 მოითხოვს, რომ კონტროლირებული ერთეულის ფულადი სახსრების ნაკადები, რომელიც აკმაყოფილებს უცხოური ერთეულის განსაზღვრებას, გადაყვანილი უნდა იქნას ფულადი სახსრების ნაკადების მოხდენის თარიღისათვის უცხოურ ვალუტასა და საანგარიშგებო ვალუტას შორის არსებული გაცვლითი კურსით. სსბასს 2 აგრეთვე განსაზღვრავს არარეალიზებული მოგების და ზარალის წარდგენის წესს, რომელიც წარმოიქმნება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების შედეგად უცხოურ ვალუტაში არსებულ ან გადასახდელ ფულად სახსრებთან და მათ ეკვივალენტებთან მიმართებაში,

46. პრაქტიკული თვალსაზრისით შემოსავლის და ხარჯის მუხლების საანგარიშგებო ვალუტაში გადასაყვანად ხშირად იყენებენ კურსს, მაგალითად პერიოდის საშუალო კურსს, რომელიც უახლოვდება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის არსებულ გაცვლით კურსს. მაგრამ, თუ გაცვლითი კურსი მნიშვნელოვნად მერყეობს, მიზანშეწონილი არა არის ამ პერიოდის საშუალო კურსის გამოყენება.

47. 44 (გ) პუნქტში აღნიშნული საკურსო სხვაობები წარმოიქმნება:

(ა) შემოსავლებისა და ხარჯების ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, ხოლო აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგების თარიღისათვის არსებული საბოლოო კურსით გადაყვანის შედეგად. ასეთი საკურსო სხვაობები წარმოიქმნება შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების როგორც ნამეტში ან დეფიციტში აღიარებისას, ასევე პირდაპირ წმინდა აქტივებში/კაპიტალში აღიარების შემთხვევაშიც.

- (ბ) წმინდა აქტივების/კაპიტალის საწყისი ნაშთის გადაანგარიშება ადრე გამოყენებული საბოლოო კურსისაგან განსხვავებული საბოლოო კურსით.

ეს საკურსო სხვაობები არ აისახება ნამეტში ან დეფიციტში, ვინაიდან სავალუტო კურსის ცვლილება ახდენს მხოლოდ უმნიშვნელო, ან საერთოდ არ ახდენს პირდაპირ ზეგავლენას მიმდინარე და მომავალ ფულადი სახსრების ნაკადებზე საოპერაციო საქმიანობიდან. როდესაც საკურსო სხვაობები ეხება უცხოურ ერთეულს, რომელიც ჩაირთვება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ არ იმყოფება სრულ საკუთრებაში, გადაანგარიშების დროს წარმოქმნილი და დაგროვილი საკურსო სხვაობები, რომლებიც მიეკუთვნება უმცირესობის წილს ფინანსური მდგომარეობის ამსახველ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც არამაკონტროლებელი წილის ნაწილი.

48. ერთეულის ფინანსური შედეგები და ფინანსური მდგომარეობა, რომლის სამუშაო ვალუტა არის ჰიპერინფლაციური ეკონომიკის ვალუტა, გადაანგარიშდება განსხვავებულ საანგარიშგებო ვალუტაში შემდეგი პროცედურების გამოყენებით:

(ა) ყველა თანხა (ე.ი. აქტივები, ვალდებულებები, წმინდა აქტივების/კაპიტალის მუხლები, შემოსავალი და ხარჯები, შესადარისი მონაცემების ჩათვლით) გადაიყვანება ბოლოს წარდგენილი ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ანგარიშგების თარიღისათვის არსებული საბოლოო კურსით, შემდეგი შემთხვევის გარდა:

(ბ) როდესაც თანხები გადაიყვანება არაჰიპერინფლაციური ეკონომიკის ვალუტაში, შესადარისი ინფორმაციის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს მონაცემები, რომლებიც წინა წლის შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი იყო, როგორც მიმდინარე წლის მონაცემები (ე. ი. მონაცემები რომლებიც არ დაკორექტირებულა შემდგომი ფასების დონის ან გაცვლითი კურსის ცვლილებების შესაბამისად).

49. როდესაც ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ჰიპერინფლაციური ეკონომიკის ვალუტა, მაშინ გადაანგარიშების მეთოდის გამოყენებამდე, რომელიც აღწერილია პუნქტ 48-ში, გარდა შესადარისი მონაცემებისა, რომელიც გადაყვანილია არაჰიპერინფლაციური ეკონომიკის ვალუტაში (იხ. პუნქტი 48 (ბ), ერთეულმა ხელახლა უნდა გადაიანგარიშოს თავისი ფინანსური ანგარიშგება სსბასს 10-ის შესაბამისად; თუ

ეკონომიკა აღარ არის ჰიპერინფლაციური და ერთეული ხელახლა აღარ გადაიანგარიშებს თავის ფინანსურ ანგარიშგებას სსბასს 10-ის შესაბამისად, მან თავისი ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშების შეწყვეტის თარიღისათვის არსებული ფასების დონის მიხედვით გადაანგარიშებული თანხები, როგორც ისტორიული ღირებულება, უნდა გამოიყენოს საანგარიშგებო ვალუტაში გადასაანგარიშებლად.

უცხოური ერთეულის მონაცემების გადაანგარიშება

50. როდესაც ერთეულს საანგარიშგებო ვალუტაში გადაჰყავს უცხოური ერთეულის ფინანსური შედეგები და ფინანსური მდგომარეობა, 43ე-49-ე პუნქტებთან ერთად, დამატებით გამოიყენება 51-ე-56-ე პუნქტები, ისე, რომ შესაძლებელი იყოს უცხოური ერთეულის ჩართვა ანგარიშვალდებული ერთეულის ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდაციის ან კაპიტალ-მეთოდის გამოყენების გზით.
51. უცხოური ერთეულის ფინანსური შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის გაერთიანება ანგარიშვალდებული ერთეულის ფინანსურ შედეგებთან და ფინანსურ მდგომარეობასთან ხდება კონსოლიდაციის ჩვეულებრივი პროცედურებით, როგორცაა ეკონომიკური ერთეულის ფარგლებში ნაშთებისა და ოპერაციების ელიმინირება (იხ. სსბასს 35 - *კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება*).
52. თუმცა, ეკონომიკური ერთეულის შიგნით არსებული მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი ფულადი აქტივი (ან ვალდებულება) არ შეიძლება ამოთიშულ იქნას ეკონომიკური ერთეულის შიგნით არსებული შესაბამისი ვალდებულების (ან აქტივის) ხარჯზე სავალუტო რხევების შედეგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჩვენების გარეშე. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ფულადი მუხლი (ა) ითვალისწინებს ვალდებულებას მოახდინოს ერთი ვალუტის მეორეში კონვერტაცია და (ბ) სავალუტო რხევების შედეგად ანგარიშვალდებულ ერთეულს შეიძლება წილად ხვდეს მოგება ან ზარალი. ამრიგად, ამგვარი საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში, ან კიდევ, თუკი საკურსო სხვაობა წარმოიქმნა ისეთ გარემოებებში, როგორც აღწერილია პუნქტ 37-ში, იგი უცხოური ერთეულის გასვლამდე კლასიფიცირდება წმინდა აქტივებში/კაპიტალში.
53. როდესაც უცხოური ერთეულის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღი არ ემთხვევა ანგარიშვალდებული ერთეულის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღს, ხშირად უცხოური ერთეული დამატებით ფინანსურ ანგარიშგებასაც ამზადებს იმავე თარიღისათვის, როგორც

ანგარიშვალდებული ერთეული. სსბასს 35 განსაზღვრავს მოთხოვნებს იმ შემთხვევაში, როდესაც მაკონტროლებელი ერთეულის საანგარიშო პერიოდი განსხვავდება კონტროლირებული ერთეულის საანგარიშგებო პერიოდისაგან.

54. როდესაც ანგარიშვალდებული ერთეულისა და უცხოური ერთეულის საანგარიშგებო თარიღები განსხვავდება, უცხოური ერთეულის აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშდება უცხოური ერთეულის საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.
55. ანგარიშვალდებული ერთეულის საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებამდე სავალუტო კურსებში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების კორექტირება მოხდება სსბასს 35-ის შესაბამისად. იგივე მიდგომა გამოიყენება მეკავშირე ერთეულებისა და ერთობლივი შეთანხმებების მიმართ, კაპიტალ-მეთოდის გამოყენების დროს, სსბასს 36-ის, *ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებში და ერთობლივ საქმიანობებში*, შესაბამისად.
56. ნებისმიერი სახის გუდვილი, რომელიც წარმოიქმნება უცხოური ერთეულის შეძენისას, აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების სამართლიანი ღირებულებით დაკორექტირება, რომელიც წარმოიქმნება ასეთი უცხოური ერთეულის შეძენისას, განიხილება, როგორც უცხოური ერთეულის აქტივები და ვალდებულებები. შესაბამისად, ისინი უნდა აისახოს უცხოური ერთეულის სამუშაო ვალუტაში და გადაანგარიშდეს საბოლოო სავალუტო კურსის მიხედვით, 44-ე და 48-ე პუნქტების შესაბამისად.

უცხოური ერთეულის გასვლა

57. უცხოური ერთეულის გასვლის დროს საკურსო სხვაობების ჯამური ღირებულება, რომელიც ასახულია, როგორც უცხოურ ერთეულთან დაკავშირებული წმინდა აქტივების/კაპიტალის ცალკე კომპონენტი, უნდა აისახოს ნამეტში ან დეფიციტში, როდესაც მოხდება უცხოური ერთეულის გასვლის შედეგად მიღებული მოგების ან ზარალის აღიარება.
- 57ა. ისევე, როგორც ერთეულის მიერ უცხოურ ერთეულში ფლობილი მთელი წილის დათმობის შემთხვევაში, შემდეგ სიტუაციებშიც უცხოურ ერთეულში ფლობილი წილის ნაწილის დათმობაც აისახება, როგორც გასვლა:
- (ა) როდესაც წილის ნაწილის დათმობა იწვევს კონტროლის დაკარგვას კონტროლირებულ ერთეულზე, რომლის შემადგენლობაში შედის უცხოური ერთეული, იმის

მიუხედავად, ერთეული ინარჩუნებს თუ არა წილის ნაწილის დათმობის შემდეგ არამაკონტროლებელ წილს ყოფილ კონტროლირებულ ერთეულში; და

(ბ) როდესაც წილის ნაწილის დათმობის შემდეგ დარჩენილი წილი ერთობლივ შეთანხმებაში ან მეკავშირე ერთეულში, რომლის შემადგენლობაშიც შედის უცხოური ერთეული, წარმოადგენს ფინანსურ აქტივს, რომლის შემადგენლობაშიც შედის უცხოური ერთეული.

57ბ. კონტროლირებული ერთეულის დათმობისას, რომელიც მოიცავს უცხოურ ერთეულს, უნდა შეწყდეს ამ უცხოურ ერთეულთან დაკავშირებული, არამაკონტროლებელ წილებზე მიკუთვნებული საკურსო სხვაობების მთლიანი თანხა უნდა მიიმართოს პირდაპირ დაგროვილ ნამეტზე/დეფიციტზე.

57გ. კონტროლირებული ერთეულის ნაწილობრივი დათმობისას, რომელიც მოიცავს უცხოურ ერთეულს, ერთეულმა ხელახლა უნდა მიაკუთვნოს ამ უცხოურ ერთეულში ფლობილ არამაკონტროლებელ წილებს იმ საკურსო სხვაობების დაგროვილი თანხის პროპორციული წილი, რომელიც აკუმულირებული იყო წმინდა აქტივების/კაპიტალის ცალკე კატეგორიაში. უცხოური ერთეულის ნებისმიერი სხვა ნაწილობრივი დათმობის შემთხვევაში, ერთეულმა დაგროვილ ნამეტში/დეფიციტში უნდა გადაიტანოს წმინდა აქტივებში/კაპიტალში აღიარებული საკურსო სხვაობების დაგროვილი თანხის მხოლოდ პროპორციული წილი.

57დ. ერთეულის მიერ უცხოურ ერთეულში თავისი წილის ნაწილობრივი დათმობა ნიშნავს ერთეულის მიერ უცხოურ ერთეულში ფლობილი საკუთრების წილის ნებისმიერ შემცირებას, გარდა 57 (ა) პუნქტში აღწერილი წილების შემცირებების, რაც აისახება, როგორც გასვლა.

58. ერთეულს შეუძლია გაასხვისოს თავისი წილი უცხოურ ერთეულში ჩადებული კაპიტალის გაყიდვის, ლიკვიდაციის, დაბრუნების გზით, ან ასეთ ერთეულზე სრული ან ნაწილობრივი უარის თქმით. დივიდენდების გადახდა ან ანალოგიური განაწილება შეადგენს გასვლის ნაწილს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს ინვესტიციების დაბრუნებას, მაგალითად, როდესაც შემენამდე მიღებული ნამეტიდან გადაიხდება დივიდენდები ან მსგავსი გადახდები. უცხოური ერთეულის მიმდინარე საბალანსო ღირებულებების ჩამოწერა მის მიერ აღიარებული ზარალის, ან ინვესტორის მიერ აღიარებული გაუფასურების ზარალის გამო, არ ნიშნავს ერთეულის წილის ნაწილობრივ დათმობას. შესაბამისად, კაპიტალში ასახული გადავადებული საკურსო მოგების ან

ზარალის არავითარი ნაწილი არ ექვემდებარება აღიარებას ნამეტში ან დეფიციტში, ჩამოწერის მომენტისათვის.

საკურსო ცვლილებების საგადასახადო შედეგები

59. ანგარიშვალდებული ერთეულებისთვის, რომლებიც იბეგრება მოგების გადასახადით, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ მოგებასთან ან ზარალთან, ასევე იმ ერთეულისათვის, რომელიც უცხოურ ერთეულს მოიცავს, ფინანსური შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილ საკურსო სხვაობებთან დაკავშირებულ საგადასახადო შედეგებზე მითითებები შესაძლებელია მოძიებულ იქნას შესაბამის საერთაშორისო თუ ეროვნულ ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში, რომლებიც შემოსავლებზე დაკისრებულ გადასახადებს ეხება.

განმარტებითი შენიშვნები

60. 62-ე და 64-66-ე პუნქტებში სამუშაო ვალუტა ეკონომიკური ერთეულის შემთხვევაში, ეხება მაკონტროლებელი ერთეულის სამუშაო ვალუტას.

61. ერთეულმა განმარტებით შენიშვნებში უნდა წარმოადგინოს:

(ა) მოგებაში ან ზარალში აღიარებული საკურსო სხვაობები, გარდა სსზასს 29-ის შესაბამისად მოგებაში ან ზარალში აღიარებული საკურსო სხვაობებისა, რომლებიც წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით შეფასებისას; და

(ბ) წმინდა აქტივების/კაპიტალის ცალკე კომპონენტად კლასიფიცირებული წმინდა საკურსო სხვაობები და საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის ამ საკურსო სხვაობების თანხებს შორის მიღწეული შესაბამისობა.

62. როდესაც საანგარიშგებო ვალუტა განსხვავდება სამუშაო ვალუტისაგან, ეს ფაქტი სამუშაო ვალუტასთან და განსხვავებული საანგარიშგებო ვალუტის გამოყენების მიზეზებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს განმარტებით შენიშვნებში.

63. როდესაც ანგარიშვალდებული ერთეულის, ან მნიშვნელოვანი უცხოური ერთეულის სამუშაო ვალუტა იცვლება, ეს ფაქტი სამუშაო ვალუტის შეცვლის მიზეზთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს განმარტებით შენიშვნებში

64. როდესაც ერთეული ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს სამუშაო ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში, მას შეუძლია

აღნიშნოს, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სსბასს-ების შესაბამისად, მხოლოდ მაშინ როდესაც დაცულია თითოეული მოქმედი სტანდარტის მოთხოვნები, 44-ე და 48-ე პუნქტებით დადგენილი გადაანგარიშების მეთოდის ჩათვლით.

65. ზოგჯერ ერთეული წარადგენს თავის ფინანსურ ანგარიშგებას, ან სხვა ფინანსურ ინფორმაციას სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში 64-ე პუნქტის მოთხოვნების დაცვის გარეშე. მაგალითად, ერთეულმა ფინანსური ანგარიშგებიდან სხვა ვალუტაში შეიძლება გადაიყვანოს მხოლოდ შერჩეული მუხლები, ან ერთეულმა, რომლის სამუშაო ვალუტა არ არის ჰიპერინფლაციური ეკონომიკის ვალუტა, შეუძლია მოახდინოს ფინანსური ანგარიშგების სხვა ვალუტაში კონვერტაცია ყველა მუხლის საბოლოო სავალუტო კურსით გადაანგარიშების გზით. ასეთი კონვერსია არ შეესაბამება სსბასს-ების მოთხოვნებს და ასეთ შემთხვევებში საჭიროა 66-ე პუნქტში მოცემული განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენა.
66. როდესაც ერთეული 64-ე პუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლად წარადგენს თავის ფინანსურ ანგარიშგებას, ან სხვა ფინანსურ ინფორმაციას სამუშაო ან საანგარიშგებო ვალუტებისაგან განსხვავებულ ვალუტაში, მან უნდა:
- (ა) ნათლად მოახდინოს ამ ინფორმაციის იდენტიფიცირება როგორც დამატებითი ინფორმაციის, რათა განაცალკეოს იგი სსბასს-ებთან შესაბამისობაში მოყვანილი ინფორმაციისაგან;
 - (ბ) გაამჟღავნოს ვალუტა, რომელშიც წარმოდგენილია დამატებითი ინფორმაცია;
 - (გ) გაამჟღავნოს ერთეულის სამუშაო ვალუტა და გადაანგარიშების მეთოდი, რომელიც გამოიყენება დამატებითი ინფორმაციის განსაზღვრისათვის.

გარდამავალი დებულებები

დარიცხვის მეთოდის პირველადი დანერგვა

67. [ამოღებულია]

68. [ამოღებულია]

69. [ამოღებულია]

70. [ამოღებულია]

ძალაში შესვლის თარიღი

71. ერთეულებმა მოცემული სტანდარტი უნდა გამოიყენონ წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელიც იწყება 2010 წლის 1 იანვრიდან, ან ამ თარიღის შემდეგ. მისასაღებელია უფრო ადრეული გამოყენება. თუ ერთეული მოცემულ სტანდარტს იყენებს 2010 წლის 1 იანვრამდე არსებული პერიოდისათვის, ეს ფაქტი უნდა წარმოდგენილი იყოს განმარტებით შენიშვნებში.
- 71ა. 67-ე, 68-ე, 69-ე, 70-ე და 72-ე პუნქტები შეიცვალა სსბასს 33-ის, *დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) პირველად გამოყენება*, 2015 წლის იანვარში გამოცემის შედეგად. ერთეულმა უნდა გამოიყენოს ეს ცვლილება წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება ნებადართულია. თუ ერთეული იყენებს სსბასს 33-ს 2017 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, ამ ადრინდელი პერიოდისთვის ასევე უნდა იქნას გამოყენებული აღნიშნული ცვლილება.
- 71ბ. 3 (ბ), მე-10, მე-13, 21-ე, 22-ე, 38-ე, 47-ე, 50-ე, 51-ე, 53-ე, 55-ე, 57-ე და 58-ე პუნქტები შეცვლილია, ხოლო 57 (ა), 57 (ბ), 57 (გ) და 57 (დ) პუნქტები დამატებულია სსბასს 35-ის, *კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება* და სსბასს 37-ის, *ერთობლივი შეთანხმებები* 2015 წლის იანვარში გამოცემის შედეგად, ერთეულმა უნდა გამოიყენოს აღნიშნული ცვლილებები, როდესაც იგი გამოიყენებს სსბასს 35-ს და სსბასს 37-ს.
- 71გ. მე-6 და მე-7 პუნქტები ამოღებულია და მე-13 პუნქტი შეიცვალა 2016 წლის აპრილში *სსბასს-ების გამოყენების* გამოცემის შედეგად. ერთეულმა უნდა გამოიყენოს აღნიშნული ცვლილებები წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული ცვლილებებს გამოიყენებს 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი.
72. როდესაც ერთეული ნერგავს დარიცხვის მეთოდის სსბასს-ებს, როგორც ეს განსაზღვრულია სსბასს 33-ში, *დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) პირველად გამოყენება*, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ძალაში შესვლის თარიღისათვის, წინამდებარე სტანდარტი

გამოიყენება ერთეულის წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც მოიცავს პერიოდებს, დაწყებულს სსბასს-ების დანერგვის თარიღიდან ან მის შემდეგ.

სსბასს-4-ის გაუქმება (2006 წლიდან)

73. მოცემული სტანდარტი ცვლის 2006 წელს გამოქვეყნებულ სსბასს 4-ს - *უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები*.

დასკვნის საფუძველი

წინამდებარე დასკვნის საფუძველი თან ერთვის, მაგრამ არ არის სსბასს-4-ის შემადგენელი ნაწილი.

მიზეზი

დს1. სსბასსს-ს ფასს-თან დაახლოების პროგრამა სსბასსს-ს სამუშაო პროგრამის მნიშვნელოვანი ელემენტია. სსბასსს-ს პოლიტიკა მდგომარეობს სსბასს-ის დარიცხვის მეთოდის მიხედვით ფასს-თან დაახლოებაში, რომლებიც გამოქვეყნებულია სსბასსს-ს მიერ, იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია საჯარო სექტორის ერთეულებისათვის.

დს2. ფასს-ებთან დაახლოებული დარიცხვის მეთოდის სსბასსს-ები ინარჩუნებენ ფასს-ების მოთხოვნებს, სტრუქტურასა და ტექსტს, თუკი გადახვევისათვის არ არსებობს საჯარო სექტორისთვის დამახასიათებელი მიზეზები. ეკვივალენტური ფასს-გან გადახვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ფასს-ის მოთხოვნები ან ტერმინოლოგია არ ერგება საჯარო სექტორს, ან როდესაც დამატებითი კომენტარის ან მაგალითების ჩართვა არის აუცილებელი გარკვეული მოთხოვნების ილუსტრაციისათვის საჯარო სექტორის კონტექსტში. სსბასსს-ებსა და მათ შესატყვის ფასს-ებს შორის განსხვავება მოცემულია „ფასს-თან შედარებაში“, რომელსაც შეიცავს ყოველი სსბასს. ბასს-21-თან შედარება მიეკუთვნება მხოლოდ ბასს-21-ის იმ ვერსიას, რომელიც განახლებულ იქნა 2003 წელს 2005 წლის შესწორებებით¹.

დს3 2000 წლის მასში სსბასსს-ს წინამორბედმა, საჯარო სექტორის კომიტეტმა (სსკ)² გამოაქვეყნა სსბასსს-4-ის პირველი ვერსია, „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“, რომელიც დაეფუძნა 1993 წლის ბასსს-21-ს, „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“. 2006 წლის დეკემბერში სსბასსსს-მ განაახლა სსბასსს-4 უკვე 2003 წლის ვერსიის ბასსს-21-ის საფუძველზე

¹ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასსს-ები) გამოქვეყნებულია ბასსსს-ს წინამორბედის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსსკ) მიერ. ბასსსსს-ს მიერ გამოქვეყნებული სტანდარტები მოიხსენება როგორც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასსს-ები). ბასსსსს-მ განმარტა, რომ ფასსსს-ები შეიცავს ფასსსს-ებს, ბასსსსს-ებს და სტანდარტების ინტერპრეტაციებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ბასსსსს-მ შეასწორა და არ შეცვალა ბასსსს, რა შემთხვევაშიც რჩება ძველი ბასსსს-ები.

² სსკ გახდა სსბასსსს, როდესაც ბსფ-ის საბჭომ შეცვალა სსკ-ს მანდატი, რათა იგი გამხდარიყო სტანდარტების დამოუკიდებელი შემმუშავებელი 2004 წლის ნოემბერში.

(განახლებული 2003 წ) თავისი სტანდარტების ზოგადი გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში. 2005 წლის დეკემბერში ბასსს-მ შეიტანა ცვლილებები ბასს-21-ში, რომელიც გამოქვეყნდა სახელწოდებით „წმინდა ინვესტიციები უცხოურ საწარმოში“

დს4. 2007 წლის დასაწყისში სსბასს-ების განახლებისა და ფასს-ების უკანასკნელ ვერსიებთან დაახლოების მიზნით, სადაც ეს მიზანშეწონილი იყო საჯარო სექტორისათვის, სსბასსს-მ წამოიწყო სსბასს-ების გაუმჯობესების პროექტი არსებული პროექტის ფარგლებში სსბასსს გაეცნო 2005 წლის დეკემბერში ბასს 21-ში შეტანილ ცვლილებებს და, ზოგადად, დაეთანხმა ბასსს-ს არგუმენტებს, რომ განახლებულიყო ბასს-ები და შეტანილიყო ცვლილებები. (ბასსს-ს არგუმენტები დასკვნებთან დაკავშირებით აქ მოყვანილი არაა. ბასსს-ის *ყოველმხრივი სააბონენტო მომსახურების ხელმომწერებს* შეუძლიათ გაეცნონ დასკვნით დებულებებს ბასსს-ს ვებ-გვერდზე www.iasb.org.

დს5. ბასს-21-ში ფასს-ებსა და განახლებული ბასს-ების შედეგად შევიდა შემდგომი ცვლილებები და გამოცემული იქნა 2005 წლის დეკემბრის შემდეგ. სსბასს 4 არ მოიცავს 2005 წლის დეკემბრის შემდეგ განახლებულ ბასს-სა და ფასს-ის შესაბამის ცვლილებებს ვინაიდან სსბასსს ჯერ არ განუხილავს აღნიშნული ცვლილებები და არ ჩამოუყალიბებია თავისი მოსაზრება ფასს-ებში შეტანილი ცვლილებებისა და განახლებული ბასს-ების მოთხოვნების საჯარო სექტორის ერთეულებისათვის გამოყენების შესახებ.

სსბასს 4-ის გადახედვა 2016 წლის აპრილში სსბასსს-ს მიერ გამოცემული სსბასს-ების გამოყენების შედეგად

დს6. სსბასსს-მ 2016 წლის აპრილში გამოსცა *სსბასს-ების გამოყენება*. ამ დოკუმენტით, ყველა სსბასს-ში იქნა ცვლილებები შეტანილი შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

(ა) თითოეული სტანდარტის მოქმედების სფეროდან ამოღებულია სტანდარტული პუნქტები სსბასსს-ების „საჯარო სექტორის ერთეულებისთვის, გარდა სახელმწიფო კომერციული საწარმოებისა (სკს)“ გამოყენების შესახებ;

(ბ) ტერმინი „სკს“ შეცვლილია ტერმინით „საჯარო სექტორის კომერციული ერთეული“, საჭიროების შემთხვევაში; და

(გ) ცვლილებები იქნა შეტანილი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების წინასიტყვაობის მე-10 პუნქტში, იმ საჯარო სექტორის ერთეულების პოზიტიური აღწერით, რომლისთვისაც არის განკუთვნილი სსბასს-ები.

ამ ცვლილებების მიზეზები განხილულია სსბასს 1-ის დასკვნის საფუძველში.

ბასს 21-თან შედარება

სსბასს4, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები ძირითადად შემუშავებულია ბასს 21-ის საფუძველზე, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები (განახლებული 2003 წელს და 2005 წლის ცვლილებებით). ძირითადი განსხვავება სსბასს 4-სა და ბასს 21-ს შორის არის შემდეგი:

- სსბასს 4 ზოგიერთ შემთხვევაში იყენებს ბასს 21-საგან განსხვავებულ ტერმინოლოგიას. სსბასს 4-ში ასეთი ტერმინების ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითებია, „შემოსავალი“, „ეკონომიკური ერთეული“, „ფინანსური შედეგების ანგარიშგება“ და „წმინდა აქტივები/კაპიტალი“. ბასს-21-ში ეკვივალენტური ტერმინებია: „ამონაგები“, „ჯგუფი“, „სრული შემოსავლის ანგარიშგება“ და „საკუთარი კაპიტალი“.